ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 4/39

ქ. თბილისი 1259 01.05.18 30 აპრილი, 2018 წელი

სსიპ ,,საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო" (შემდგომში ,,დამკვეთად" წოდებული), მისი გენერალური დირექტორის მოადგილის პაატა დოლიძის სახით, ერთის მხრივ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის (შემდგომში ,,დაცვად" წოდებული) მოძრავი ტვირთებისა და ფიზიკურ პირთა დაცვის სამმართველოს უფროსის *ზაზა ბერუაშვილის* სახით, მეორეს მხრივ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება №13-ის მე-2 მუხლის „ა" პუნქტის საფუძველზე და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით ,,დაცვა" იღებს ვალდებულებას, განახორციელოს ,,დამკვეთის" სამუზეუმო ექსპონატების დაცვა (CPV კოდი 79713000) - ესკორტირება - ქ. ბორჯომის (მის. ქ.ბორჯომი, წმ.ნინოს ქუჩა #5) - მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან - თბილისში (მის: ქ.თბილისი, ანტონ კათალიკოსის ქ. #3) დავით ბაააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმში, 2018 წლის 2 მაისს.

1.2. წინამდებარე ხელშეკრულებით ,,დამკვეთი" იღებს ვალდებულებას ,,დაცვას" გადაუხადოს გაწეული დაცვის მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად (ინსპექტირებას დამკვეთის მხრიდან განახორციელებს სსიპ ,,საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი გიორგი იაშვილი).

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. ,,დამკვეთი" ვალდებულია:

2.1.1. აცნობოს ,,დაცვას" დაცვა-ესკორტირების შესახებ ორი დღით ადრე;

2.1.2. დაცვა-ესკორტირების დაწყებამდე, ,,დამკვეთის" უფლებამოსილმა წარმომადგენელმა მოაწეროს ხელი ,,დაცვის" მიერ წარდგენილ შესაბამის აქტებს და დოკუმენტებს;

2.1.3. შეუქმნას ,,დაცვას" სამუშაო პირობები, კერძოდ: დაცვა-ესკორტირების პერიოდში ტრანსპორტირებაში მონაწილე ,,დამკვეთის" წარმომადგენლებმა უზრუნველყონ ,,დაცვის" წარმომადგენლების კანონიერი მოთხოვნა-მითითებების შესრულება უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილების მიზნით;

2.1.4. ,,დაცვის" თანამრომლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს წერილობით ,,დაცვას".

2.2. ,,დაცვა" ვალდებულია:

2.2.1. დაცვა-ესკორტირებისათვის გამოყოს სპეციალური შეფერილობის, სანათი და ხმოვანი მოწყობილობით აღჭურვილი ,,დაცვის" ავტომობილი;

2.2.2. ,,დამკვეთის" დაცვა - ესკორტირება განახორციელოს შსს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მოძრავი ტვირთებისა და ფიზიკურ პირთა დაცვის სამმართველო ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი თანამშრომლებით;

2.2.3. ,,პოლიციის შესახებ" კანონის მოთხოვნათა შესაბამისად კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები;

2.2.4. უზრუნველყოს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ,,დამკვეთის" შეუფერხებელი გადაადგილება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, გარდა ფორს-მაჟორული შემთხვევებისა;

2.2.5. დაცვა უფლებამოსილია არ განახორციელოს დაცვა-ესკორტირება თუ ,,დამკვეთის" მიერ არ შესრულდება ხელშეკრულების 2.1.3. ქვეპუნქტის მოთხოვნები.

მუხლი 3. ანგარიშსწორების წესი და პირობები

3.1. დაცვა - ესკორტირების მომსახურების ღირებულება, დ.ღ.გ.-ს ჩათვლით შეადგენს:

მომსახურების ღირებულება ერთ ავტომობლზე		
20 კმ - ს ჩათვლით	20 კმ-ს ზევით - 100 კმ-ს ჩათვლით	100 კმ-ს ზევით

200 ლარი	200 ლარი + 20 კმ-ს ზევით ყოველ 1კმ-ზე 6 ლარი	680 ლარი + 100 კმ-ს ზევით ყოველ 1 კმ-ზე 3 ლარი

3.2. ,,დამკვეთი" ამ მუხლით გათვალისწინებულ მომსახურების ღირებულებას ,,დაცვას" გადაუხდის ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მომსახურების მიწოდების, აღნიშნულის თაობაზე მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიწოდებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

3.3. დაცვა-ესკორტირების სავარაუდო ღირებულება შეადგენს **860,00 (რვაას სამოცი) ლარს.**

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ ხელშეკრულების 1.2 პუნქტში მითითებული პირი.

4.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. გამოძახების საფუძველზე, ,,დაცვის" ეკიპაჟის ადგილზე გამოცხადების შემდეგ (რაც უნდა დადასტურდეს შესაბამის აქტზე მხარეთა ხელმოწერებით), ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაცვა - ესკორტირების განხორციელების ,,დამკვეთის" მიზეზით ორ საათზე მეტით გადადების შემთხვევაში, ,,დამკვეთი" ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ერთჯერადათ 300 (სამასი) ლარი და ყოველ მომდევნო გადაცილებულ 1 (ერთი) საათზე 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

5.2. დაცვა-ესკორტირების ,,დამკვეთის" მიზეზით (გარდა ფორსმაჟორისა) ორ საათზე მეტით შეწყვეტის შემთხვევაში, ,,დამკვეთი" ვალდებულია გადაიხადოს ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული დაცვა-ესკორტირების მომსახურების სრული ღირებულება და პირგასამტეხლო ერთჯერადათ 300 (სამასი) ლარი და ყოველ მომდევნო გადაცილებულ 1 (ერთი) საათზე 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

5.3. ,,დაცვის" მიზეზით დაცვა-ესკორტირების 2 (ორი) საათზე მეტი ვადით შეფერხების შემთხვევაში, დაცვა ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ამ მუხლის 5.1. პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობისას, თუ ეს გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედებით. კერძოდ: წყალდიდობით, მიწისძვრით, ხანძრით, გაფიცვით, სამხედრო მოქმედებით, ბლოკადით, სახელმწიფო ორგანოების აქტებით ან/და ქმედებებით (ფორს-მაჟორული გარემოებები), რაც დადასტურებულია უფლებამოსილი კომპეტენტური ორგანოების მიერ.

6.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას (ამის პირველივე შესაძლებლობისას) მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ წერილობით, ელექტრონულ მისამართზე ან ტელეფონით შეატყობინონ მეორე მხარეს ამის შესახებ.

6.3. მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე (დამთავრებამდე).

მუხლი 7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

მუხლი 8. სხვა პირობები

8.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს;

8.2. მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რის შესახებაც მეორე მხარეს აცნობებენ 10 (ათი) დღით ადრე;

8.3. სადავო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმებით. 1 (ერთი) თვის მანძილზე შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს;

8.4. ხელშეკრულება შედგენილია ოთხი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან, ორი ინახება ,,დამკვეთთან, ხოლო ორი ,,დაცვასთან".

8.5. ნებისმიერი შეტყობინება მასზე თანდართულ დოკუმენტთან ერთად, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ფაქსის ან ელექტრონული სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. მხარეები უფლებამოსილი არიან გამოიყენონ სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებებიც, რაც შემდგომში უნდა დადასტურდეს ამ პუნქტში აღნიშნული სახით.

8.6. ელექტრონული შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) საათისა მიმღები მხარე ვალდებულია ასევე ელექტრონულად დაუდასტუროს გამგზავნ მხარეს შეტყობინების მიღება. სხვა შემთხვევაში შეტყობინება ჩაითვლება მიღებულად მასში გათვალისწინებული პირობებით.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:
,,დამკვეთი"

სსიპ ,,საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"
მისამართი: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის ქ. N 5
საიდენტიფიკაციო ნომერი: 204 562 311
ელექტრონული ფოსტა: g.iashvili@heritagesites.ge
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ა/ა # GE24NB0330100200165022
სახაზინო კოდი: # 707617111
ს/კოდი: 204562311
გენერალური დირექტორის მოადგილე:

პაატა დოლიძე

,,დაცვა"
საქ. შსს საჯარო სამართლის იურიდიული
პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი
მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის
ხეივანი მე-11 კილომეტრი.
ელექტრონული ფოსტა:z.beruashvili@spd.ge
საიდენტიფიკაციო ნომერი: 211350928
მიმღების ბანკი_სახელმწიფო ხაზინა;
მიმღების დასახელება_ხაზინის ერთიანი ანგარიში;
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი_707117292
მოძრავი ტვირთებისა და ფიზიკურ პირთა
დაცვის სამმართველოს უფროსი:

ზაზა ბერუაშვილი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

30 აპრილი, 2018 წელი

სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს გენერალური დირექტორის მოადგილე და ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე უფლებამოსილი პირი ვადასტურებთ, რომ **სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს** მიერ **სამუზეუმო ექსპონატების დაცვა - ესკორტირების შესყიდვის პროცედურაში** ხელშეკრულება #4/39 30.04.2018წ. ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და მიმწოდებელთან მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

გენერალური დირექტორის მოადგილე:

პაატა დოლიძე

ჯგუფის წევრი:

გიორგი იაშვილი